



ბრიტანეთის საელჩო
თბილისი

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის
26 ივლისი, 2017

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა
პროგრამისა და კომუნიკაციების
უფროსი ოფიცერი
Tel: +995 577 779639
E-mail: dchachua@ndi.org

NDI-ის კვლევა: საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და მხარდაჭერა დაბალია; ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას მოსახლეობა საშუალოდ აფასებს

თბილისი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRRC საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევა აჩვენებს მოსახლეობის დამოკიდებულებას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კანონთან - კონსტიტუციასთან დაკავშირებული ცვლილებების მიმართ. მოქალაქეთა მხოლოდ 32 პროცენტს სმენია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ; იმ ადამიანთა უმრავლესობა (59 პროცენტი), ვისაც სმენია ამის შესახებ, აცხადებს, რომ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ამ ცვლილებებზე. გამოკითხვის თანახმად, მოქალაქეთა მხოლოდ 2 პროცენტი დაესწრო საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვებს. ამას გარდა, იმ მოქალაქეებიდან, ვისაც სმენია ამ პროცესის შესახებ, მხოლოდ 6 პროცენტი ამბობს, რომ ცვლილებები სრულად ასახავს მოსახლეობის შეხედულებებს; 47 პროცენტის აზრით - ნაწილობრივ ასახავს, 32 პროცენტის თქმით კი - საერთოდ არ ასახავს.

„ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კანონთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ მოქალაქეთა ასეთი დაბალი ინფორმირებულობიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ეს პროცესი მეტ დროს, განხილვებსა და კვლევას მოითხოვს,“ - აღნიშნა NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლორა თორნტონმა, - „სასურველია, რომ პარლამენტი დაუბრუნდეს განხილვების მაგიდას და შექმნას ინკლუზიური გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ფართო სამოქალაქო ჩართულობა.“

მოსახლეობის ნახევარს (52 პროცენტი) სმენია იმ საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც შვიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჩამოერთმევა; 44 პროცენტს არ სმენია ამ ინიციატივის შესახებ. მოქალაქეთა უმრავლესობისთვის (59 პროცენტი) მიუღებელია ქალაქისა და თემის მუნიციპალიტეტების გაერთიანება, რის შედეგადაც მათ ერთი უწყება უხელმძღვანელებს. მხოლოდ 16 პროცენტი უჭერს მხარს ამ სიახლეს. ამას გარდა, მოსახლეობის ნახევარს (45 პროცენტი) მიაჩნია, რომ ამ ცვლილებებს ნეგატიური გავლენა ექნება საქართველოზე, 11 პროცენტს კი სჯერა, რომ გავლენა პოზიტიური იქნება.

„კვლევა ცხადყოფს, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან, ოპოზიციურ პარტიებთან და პრეზიდენტთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში ცვლილებებს მოქალაქეებიც აკრიტიკებენ.“

მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი აფასებს ამ ცვლილებებს პოზიტურად,“ - განაცხადა ლორა თორნტონმა, - „კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იქნება, პარლამენტმა გააგრძელოს ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების გარშემო დებატები და განხილვები, რათა არაპოპულარული ცვლილებების წინასაარჩევნო პერიოდში ნაჩქარევად მიღება თავიდან აიცილოს.“

მოსახლეობის ნახევარი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას საშუალოდ აფასებს. ცენტრალური მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებს 10 პროცენტი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას - 16 პროცენტი. უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში პროფესიონალიზმის ნაკლებობაა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას კორუფციისა და ნეპოტიზმის პრობლემები აქვს. ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად არის გამოხატული თბილისში. მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ამბობს, რომ შეხება ჰქონია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, თუმცა მათგან, ვისაც კომუნიკაცია ჰქონია, უმრავლესობა აცხადებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე ხალხი იყო კომპეტენტური და პატივისცემით მოექცნენ.

მოქალაქეებმა ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად დაასახელეს სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ფასების ზრდა/ინფლაცია და ჯანდაცვა; ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებად დასახელდა გზები, გარემოს დაბინძურება, წყალმომარაგება, გაზომომარაგება და საგზაო მოძრაობა. თბილისში გარემოს დაბინძურება ადგილობრივი მნიშვნელობის ყველაზე დიდი პრობლემაა.

„მოსახლეობა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობას საშუალოდ აფასებს. ნეგატიური შეფასებები ჭარბობს თბილისში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებობს არაპროფესიონალიზმი, ნეპოტიზმისა და კორუფციის პრობლემები,“ - აღნიშნა თორნტონმა, - “ეს მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ. კანდიდატებმა მოსახლეობას პრობლემების მოგვარების კონკრეტული გზები უნდა შესთავაზონ, პარტიებმა კი თავიანთი კანდიდატები დიდი დაკვირვებით შეარჩიონ.“

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები.

აღნიშნული გამოკითხვა 2017 წლის 18 ივნისი-9 ივლისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,261 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2,2 პროცენტი.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და ატარებს CRRC საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე : www.crrc.ge